



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ლ87. 8723293001

თარიღი:20/10/2023

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის ოქმი № 13**

ქ. ახმეტა 18 ოქტომბერი, 2023 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: იოსებ ქარუმაშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ს ს დ ო მ ა ს ე წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: შ.ხოხობაშვილი, გ. ქიბროწაშვილი, თ.ბორჩაშვილი,

ხ.იჩუაიძე, გ.შაშიაშვილი, კ.მამულაშვილი,

ზ.უდილაური, ბ.კაიშვილი, რ.გახუაშვილი,

ლ.ვანჩიშვილი, თ.ყვინიშვილი, ე.ბალაკაშვილი,

ზ.ფიცხელაური, გ.ონიაშვილი, გ.მამუჩარაშვილი,

დ.ავაზაშვილი,ს.ბაბულაიძე,ლ.ჭიჭიკოშვილი,

შ.ტერტერაშვილი.

სხდომა გაიხსნა 12⁰⁰ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ ქარუმაშვილმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტები.

დღის წესრიგი

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

სხდომას ესწრება 20 - საკრებულოს წევრი.

მომხრე - 17

მონაწილეობა არ მიიღო 3 - ს.ბაბულაიძე,ლ. ჭიჭიკოშვილი, შ.ტერტერაშვილი.

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

დადგენილების მიზანია მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი სახსრების და ადგილობრივი ბიუჯეტის შიდა პარამეტრების ცვლილებების ასახვა.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2023 წლის მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების ასახვა და დამტკიცება.

შემოსულობები: შემოსავლების ოდენობა გაიზარდა 1397.4 ათასი ლარით. მათ შორის

1. გაეროს განვითარების პროგრამის მიერ (UNDP) კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებისთვის გამოცხადებულ კონკურსში, ახმეტის მუნიციპალიტეტმა მოიპოვა დაფინანსება 42.000 ლარის ოდენობით წოვათას ხეობაში მისასვლელი ალტერნატიული გზის საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის მოსამზადებლად. პროექტის მომზადების დაფინანსებას უზრუნველყოფს UNDP-ის პროექტი „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) - დეცენტრალიზებული, ეფექტური და ინკლუზიური მმართველობის ხელშეწყობა საქართველოში“.
2. „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შედეგად ახმეტის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილია სპეციალური ტრანსფერი 600,0 ათ. ლარის ოდენობით, რომელიც მოხმარდება სტიქიით დაზარალებულთა სახლების სახურავის რეაბილიტაციას
3. დასახლებული ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეუფერხებლად გატანის მიზნით შეძენილ უნდა იქნეს 16 მ³ მოცულობის ნაგავმზიდი (4*2-ზე თვლების ფორმულით). საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ერთი ერთეული ნაგავმზიდის ღირებულება იქნება 396 180 ლარი. ტენდერის პირობების შესაბამისად, 2023 წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს სრული ღირებულების 40%-ს, ხოლო 2024 წელს - სრული ღირებულების 60%. აღნიშნულის თანახმად, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 სექტემბრის №1640 განკარგულების მიხედვით, ახმეტის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილია კაპიტალური ტრანსფერი 158 472 (ასორმოცდათვრამეტი ათას ოთხას სამოცდათორმეტი) ლარი
4. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ „საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2475 განკარგულებაში შეტანილი ცვლილების (N1592 2023 წლის 4 სექტემბერი) შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერის ოდენობა შემცირებულია 46291 (ორმოცდაექვსი ათას ორასოთხმოცდათორმეტი) ლარით. კერძოდ,

- სოფელ აწყურის შემოსასვლელის ტროტუარებისა და კიუეტის რებილიტაცია - 6542 ლარით;
- ქ.ახმეტაში რუსთაველის ქ. ტროტუარების მოწყობისა და გზის სავალი ნაწილის გაფართოება - 37137 ლარით;
- სოფელ ქვ. ალვანის შიდა საუბნო გზის (გზა I) რეაბილიტაცია - 2612 ლარით.

ადგილობრივი ბიუჯეტით შემოსულობების ოდენობა გაიზარდა 643,2 ათასი ლარით. მ.შ.

- დამატებული ღირებულების გადასახადი 368,6 ათ. ლარი
- ბანკის პროცენტიდან შემოსავალი 81,6 ათასი ლარი,
- არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალი 193,0 ათ. ლარი,
- გაიზარდა მოსახლეობის დასუფთავების მოსაკლრებელიდან შემოვალაი 20,0 ათ. ლარით
- შემცირდა მენობების იჯარიდან მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი 20,0 ათ. ლარით

საგასავლო ნაწილი:

1. გაეროს განვითარების პროგრამის მიერ (UNDP) ჩარიცხული გრანტი - 42,0 ათ. ლარი აისახა გზების არაფინანსური აქტივების ზრდაში (წოვათას ხეობაში მისასვლელი ალტერნატიული გზის საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის მოსამზადებლად)
2. ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებულთა დახმარების სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები გაიზარდა 600,0 ათ. ლარით (სტიქიით დაზარალებულთა სახლების სახურავის რეაბილიტაცია)
3. სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლს დაემტა 158,472 ლარი (ნაგავმზიდის შესაძენად)
4. 2022 წლის 29 დეკემბრის №2475 განკარგულების დაზუსტების შედეგად შემცირდა გზების რეაბილიტაციის მიმართულებით გამოყოფილი თანხა 46,3 ათ. ლარით

ადგილობრივი ბიუჯეტით

ზრდა:

1. მერია

- საქონელი და მომსახურება გაიზარდა 4,5 ათასი ლარით შშმ პირთა ცენტრის აღმზრდელთა გადამზადების ხარჯი
- არაფინანსური აქტივების ზრდას დაემტა 13,0 ათ. ლარი (10,0 ათ. ლარი მერიის ოთახების რეაბილიტაციისთვის, 3,0 სახანძრო დაფების შესაძენად)

2. გზის ხარჯებს დაემტა 200,0 ათასი ლარი. მ.შ.

- ხორბალოს გზის რეაბილიტაცია 100,0 ათას ლარი
- სპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ხარჯი 100,0 ათასი ლარი

3. ა(ა)იპ მამიაურის სკოლის სუბსიდიას დაემტა ღონისძიებების ჩასატარებლად გაიზარდა 13,6 ათასი ლარი (8,6 ათ. ლარი გადმოტანილია კაპიტალურიდან, ხოლო 5,0 ათ. ლარი საახალწლო ღონისძიების ხარჯია)

4. ა(ა)იპ კულტურის ცენტრის სუბსიდია აიზარდა 30,0 ათასი ლარით (საახალწლო ღონისძიებისთვის, არქეოლოგიური სამუშაოებისთვის, ზემო ალვანის კულტ. სახლისთვის რკინის კარის მონტაჟისთვის, სასცენო ფორმების შესაკერად, კომუნალური გადასახდელებისთვის)

5. ა(ა)იპ კეთილმოწყობის სუბსიდია 11,0 ათ. ლარი (ნაგავსაყრელის დასუფთავებისთვის)

6. ა(ა)იპ ტყე-პარკების სუბსიდია 13,6 ათ. ლარი (საწვავის ხარჯი, სათდარიგო ნაწილების, სამშენებლო და სამეურნეო საქონელის შეძენა)

7. ა(ა)იპ გარე განათება - სუბსიდია 3,1 ათ. ლარი (შტატების დამატების გამო)

8. ა(ა) იპ საბავშვო ბაღების ცენტრის სუბსიდია 100,0 ათ. ლარი (გაიზარდა იმ საბავშვო ბაღების რაოდენობა, რომლებიც მოიხმარენ ელექტრო პლიტებს და გათბობის სისტემებს ანუ დენს და გაზს, შესაბამისად გაიზარდა გაზის, დენის და წყლის გადასახადი)

9. ა(ა)იპ კომპლექსური სპორტ. სკოლის კაპიტალური გაიზარდა 3,0 ათ. ლარით (გათბობილების შესაძენად)

10. სკვერები - არაფინანსური აქტივების ზრდა +101,0 ათ. ლარი

- ქ. ახმეტაში გაგარინის ქუჩაზე სკვერის მოწყობა + 43,0 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში სააკაძის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია +17,0 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში ლეონიძის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია +59,0 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში "კვირიკეს" ეკლესიის მიმდებარედ არსებული სკვერის რეაბილიტაცია +9,0 ათ. ლარი

- სოფ. ზემო ალვანში ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული სკვერის რეაბილიტაცია + 3,0 ათ. ლარი

- ქ. ახმეტაში საბეროს უბანში სკვერის მოწყობა - 30,0 ათ. ლარი

11. გარე განათებაზე მოხმარებული ელ. ენერჯის გადასახადი 20,0 ათ. ლარი

12. სარეზერვო ფონდი 40,0 ათ. ლარი

13. საკრებულოს დეპუტატთა კომპენსაციები 2,0 ათ. ლარი

14. სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა 112,0 ათ. ლარი (ზემო ალვანის მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია)

15. ა(ა)იპ სოციალური სახლის სუბსიდია 3,0 ათ. ლარი (გადმოტანილია კაპიტალურიდან)

16. ა(ა)იპ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებს დაემატა 20,0 ათ. ლარი (მუხლობრივი ცვლილება)

სულ ზრდა 689,8 ათასი ლარი

კლება:

1. ა(ა)იპ სოციალური სახლის არაფინანსური აქტივების ზრდა - 3,0 ათ. ლარი (გადატანილია სუბსიდიაში)

2. ჯანდაცვის ობიექტების შეკეთება - 15,0 ათ. ლარი

3. ა(ა)იპ მამიაურის სახელობის სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების გაერთიანების არაფინანსური აქტივების ზრდა - 8,6 ათ. ლარი (გადატანილია სუბსიდიაში)

4. ა(ა)იპ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების სოციალური უზრუნველყოფის მუხლი შემცირდა 20,0 ათ. ლარით (მუხლობრივი ცვლილება)

სულ კლება 46,6 ათასი ლარი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 20 - საკრებულოს წევრი.

მომხრე - 17

მონაწილეობა არ მიიღო - 3 ს. ბაბულაიძე, ლ. ჭიჭიკოშვილი, შ. ტერტერაშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № : 25 „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

საკრებულოს სხდომა დაიხურა 12:25 საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიცირი ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

